საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრი

ბრძანება N 2-380

ქ. თბილისი

03/05/2019

ფ/პ ჯემალ იაკობაძის მიერ ქ. ბათუმში საღებავების საწარმოს მოწყობისა და ექსპლუატაციაზე სკრინინგის გადაწყვეტილების შესახებ

ფ/პ ჯემალ იაკობაძის მიერ გზშ-ს ჩატარების საჭიროების დადგენის მიზნით გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროში წარმოდგენილია „ქ. ბათუმში საღებავების საწარმოს მოწყობისა და ექსპლუატაციის პროექტის“ სკრინინგის განცხადება.

საპროექტო მიწის ნაკვეთი მდებარეობს ქ. ბათუმში, ფრიდონ ხალვაშის ქ. N109-ში, (ს.კ 05.32.08.912). ნაკვეთს დასავლეთის მხრიდან ესაზღვრება ბათუმი-ხულოს საავტომობილო გზა, დანარჩენი სამი მხრიდან სასოფლო სამეურნეო სავარგულები. საწარმოდან უახლოესი საცხოვრებელი სახლი დაშორებულია 250 მეტრით.

წარმოდგენილი სკრინინგის ანგარიშის მიხედვით, საწარმოსთვის გათვალისწინებულია საჭირო ნედლეულის მზა სახით შემოტანა საზღვარგარეთიდან (ძირითადად თურქეთიდან).
დაგეგმილია 1200ტ/წ საღებავების (როგორც ზეთის, ასევე წყლის ბაზაზე დამზადებული) წარმოება 100 $მ^2$ ფართობის შენობაში. სამუშაო რეჟიმი გათვალისწინებულია წელიწადში 240 სამუშაო დღით, დღეში 8 საათიანი რეჟიმით. დღიური წარმადობა ითვალისწინებს 5 ტონა პროდუქციის დამზადებას.

საწარმოს ფუნქციონირებისთვის საჭირო ნედლეული დასაწყობდება შესაბამის სასაწყობე ტერიტორიაზე და მათი შენახვა მოხდება არსებული წესით. საწარმოს დანადგარების მონტაჟისას და ფუნქციონირებისას რაიმე სახის ბუნებრივი რესურსები გამოყენებული არ იქნება. ტექნოლოგიურ პროცესში ბუნებრივი აირი ან სხვა სახის საწვავის გამოყენება არ იგეგმება.

ობიექტზე წყლის გამოყენება მოხდება როგორც ტექნოლოგიური, ასევე საყოფაცხოვრებო მიზნებისთვის. წყლის მომარაგება განხორციელდება საწარმოს ტერიტორიაზე არსებული ჭაბურღილიდან, რაზედაც არსებული წესით მიღებული იქნება ლიცენზია მიწისქვეშა წყლის სარგებლობისათვის. ფეკალური წყლების ჩაშვება მოხდება საასენიზაციო ავზში ხოლო შემდგომ მოხდება გატანა ხელშეკრულების საფუძველზე.

საწარმოში პირველ ეტაპზე დასაქმებული იქნება 10 ადგილობრივი მოსახლე და გაიზრდება სამუშაო მოცულობის ზრდასთან ერთად.

სკრინინგის ანგარიშის თანახმად, ატმოსფერულ ჰაერში მოსალოდნელია ემისიები. ტექნოლოგიურ პროცესში გამოყენებული კომპონენტების შედგენილობიდან გამომდინარე, ატმოსფერულ ჰაერში ადგილი ექნება აქროლადი ორგანული ნაერთების გაფრქვევას. ამასთან, ტექნოლოგია გულისხმობს ბიოციდური კომპონენტების გამოყენებასაც. ტექნოლოგიური პროცესი მიმდინარეობს დახურულ სივრცეში, ხოლო წარმოქმნილი მყარი ნივთიერებებისა და საღებავების თანმხლები სხვა აირების ორგანიზებული გაფრქვევა მოხდება შიდასავენტილაციო სისტემით შენობის გარე პერიმეტრზე. ტექნოლოგიურ ციკლში გამოიყენება წყლის შემცველი და დაბალი ტოქსიკურობის ბიოციდური ნივთიერებები, ჰიდროფობური აქტიური ნივთიერებები, ბუნებრივი ცხიმი და არაიონური ემულსია. ასევე, სტირენ აკრილის კოპოლიმერული ემულსია, ჰიდროქსილ ეთილ ცელულოზა, კალგონი, კაციტი, კოატექსი, ტიტანიუმის დიოქსიდი და სხვა.

საწარმოო პროცესში მოსალოდნელია როგორც სახიფათო, ასევე არასახიფათო ნარჩენების წარმოქმნა. საყოფაცხოვრებო ნარჩენებისათვის კონტეინერი განთავსებული იქნება საწარმოს ტერიტორიაზე, რომელიც გატანილი იქნება შესაბამისი სამსახურების მიერ მუნიციპალურ ნაგავსაყრელზე. სახიფათო ნარჩენი გაიტანება შესაბამისი უფლების მქონე ორგანიზაციის მიერ, ხელშეკრულების საფუძველზე. საღებავებით დაბინძურებული ჩვრები შემდეგი მაღთვის მზინით გადაეცემა შესაბამისი ნებართვის მქონე ორგანიზაციას. აუცილებელია ნარჩენების მართვის გეგმის შემუშავება.

საწარმოში არ გამოიყენება თხევადი საწვავი, ამიტომ სანიაღვრე წყლების ნავთობპროდუქტებით დაბინძურების რისკი არ არსებობს. საწარმოში არსებული ავტოტექნიკის მომსახურება გათვალისწინებულია ტექმომსახურების ცენტრებში.

საწარმოს მთლიან ტერიტორიაზე პრაქტიკულად არ ფიქსირდება ნიადაგის ნაყოფიერი ფენა, აღნიშნული ტერიტორია მთლიანად მოშანდაკებულია. საწარმოს ტერიტორიაზე არ ფიქსირდება ხე-მცენარეები.

საწარმოს მუშაობის პროცესში ხმაურის გავრცელების დონეების გადაჭარბება ნაკლებ მოსალოდნელია. საქმიანობის პროცესში ნედლეულისა და პროდუქციის ტრანსპორტირებისათვის გამოიყენება საშუალო ტონაჟიანი საავტომობილო ტრანსპორტი.

საწარმოს მიმდებარე ტერიტორიაზე არქეოლოგიური ან კულტურული მემკვიდრეობის ძეგლები არ არსებობს. მათი ნიშნების არსებობის ან მათი რაიმე სახით გამოვლინების შემთხვევაში დაცული იქნება „კულტურული მემკვიდრეობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10 მუხლი.

საწარმოს ფუნქციონირების არეალში ანალოგიური ტიპის ქარხნები აღნიშნული საწარმოდან დაშორებულია არანაკლებ 200 მეტრით.

წარმოდგენილი სკრინინგის განცხადებით, დაგეგმილი საქმიანობა არ ითვალისწინებს საწარმოო ტერიტორიაზე ხანძარსაშიში და ფეთქებადსაშიში ნივთიერებების დიდი რაოდენობით შენახვას. ნაკვეთის მომიჯნავედ არ არის წარმოდგენილი ტყით დაფარული ტერიტორიები. სახანძრო უსაფრთხოების მიზნით დამონტაჟებული იქნება სახანძრო დაფა ცეცხლმაქრებით.

რაც შეეხება ავარიული სიტუაციებისა და კატასტროფების რისკებს, საჭიროა ავარიულ სიტუაციებზე რეაგირების გეგმის შემუშავება. აღნიშნული გარემოებებიდან, ასევე

დასახლებული პუნქტის სიახლოვიდან გამომდინარე მოსალოდნელია გარემოზე მნიშვნელოვანი ზემოქმედება.

<u>ზემოაღნიშნული კრიტერიუმების გათვალისწინებით „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის მე-7 მუხლის მე-6 ნაწილის საფუძველზე</u>

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. მიღებულ იქნეს სკრინინგის გადაწყვეტილება, რომ ფ/პ ჯემალ იაკობაძის მიერ „ქ. ბათუმში საღებავების საწარმოს მოწყობა და ექსპლუატაცია **დაექვემდებაროს** გარემოზე ზემოქმედების შეფასებას;
2. ფ/პ ჯემალ იაკობაძე ვალდებულია „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-8 მუხლის შესაბამისად გაიაროს სკოპინგის პროცედურა;
3. ბრძანება დაუყოვნებლივ გაეგზავნოს ფ/პ ჯემალ იაკობაძეს;
4. ბრძანება ძალაში შევიდეს ფ/პ ჯემალ იაკობაძის მიერ ამ ბრძანების გაცნობისთანავე;
5. სკრინინგის გადაწყვეტილების მიღებიდან 5 დღის ვადაში აღნიშნული გადაწყვეტილება განთავსდეს სამინისტროს ოფიციალურ ვებგვერდზე და ქ. ბათუმის აღმასრულებელი ორგანოს ან/და წარმომადგენლობითი ორგანოს საინფორმაციო დაფაზე;
6. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ. N 6) მხარის მიერ მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

ლევან დავითაშვილი

მინისტრი